ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და ეფექტური საჯარო მმართველობის მხარდაჭერის განყოფილება

KA010185388202515

№17/73511

08 / დეკემბერი / 2015 წ.

GRASS REFORMANDA
ააიპ „საქართველოს რეფორმების ასოციაცია"
ნერილის რეგისტრაციის № 268
თარიღი: 10 12 2015 წ.

საქართველოს რეფორმების ასოციაცია.

საქართველო, თბილისი, მიცკევიჩის ქ #27

თქვენი 2015 წლის 26 ნოემბრის 92315/11 განცხადების პასუხად, გაცნობებთ, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 42-ე მუხლის „დ" პუნქტის თანახმად, საჯარო დაწესებულება ვალდებულია, გასცეს ინფორმაცია საჯარო დაწესებულების იმ საჯარო მოსამსახურეთა ვინაობისა და სამსახურებრივი მისამართის შესახებ, რომელთაც ევალებათ საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობა.

შესაბამისად, გაცნობებთ, რომ ხათუნა ივანიშვილი 2015 წლის 5 აგვისტოდან დღემდე მუშაობს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციაში შტატგარეშე მოსამსახურედ და მას ევალება საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობა.

რაც შეეხება ხათუნა ივანიშვილის სახელფასო სარგოს, აღნიშნული ინფორმაცია არის პერსონალური მონაცემების შემცველი. „პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ა" პუნქტის თანახმად, პერსონალური მონაცემები არის - „ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს. პირი იდენტიფიცირებადია, როდესაც შესაძლებელია მისი იდენტიფიცირება პირდაპირ ან არაპირდაპირ, კერძოდ, საიდენტიფიკაციო ნომრით ან პირის მახასიათებელი ფიზიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური ნიშნებით."

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და ეფექტური საჯარო მმართველობის მხარდაჭერის განყოფილების უფროსი

ილია გელაშვილი